ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 თებერვალი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 37 (10 206) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობა
I წრე, II ტური

მასპინძელთა 4 ქულა

თბილისში, ვაკის საცურაო აუზში დამთავრდა I ლიგის წყალბურთელთა I წრის II ტურის შეხვედრები. თბილისის „უნივერსიტეტმა“ ტურის ბოლო დღეს კიშინიოვის უმაღლესი დოსტატების სპორტსკოლის გუნდს სძლია (8:7).

ამრიგად, ქართველმა წყალბურთელებმა შინ ჩატარებული სამი შეხვედრიდან ორი მოიგეს და ერთი წააგეს.

ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს სხვაგან ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები და, ამდენად, სატურნირო ცხრილი ჩვენთვის ბუნდოვანია, თუმცა, როგორც არ უნდა დამთავრებულიყო სხვა შეხვედრები, ნათელია, რომ თბილისელებმა სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს.

სარბიელზე არიან თბილისის „უნივერსიტეტისა“ და კიშინიოვის სპორტსკოლის გუნდები.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

აჭარის „ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტი

აჭარაში დაინიშნა „ლელოს“ ახალი საკუთარი კორესპონდენტი მუხრან გრიგოლის ძე კობალაძე, საკორესპონდენტო პუნქტის მისამართია: ბათუმი, აჭარის პროფკავშირთა კულტურის სახახლე. ტელეფონი 2-35-06.

საშუალდო ფინიშთან

მწვავედ და დაძაბულად ჩატარდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე კალენდარული დღის მატჩები.

ქერჩინსკი. თბილისის „დინამოსა“ და მოსკოველი თანაკლუბელების შეხვედრა თბილისელთა უპირატესობით დაიწყო, რომლებმაც მოიგეს პერიოდი ანგარიშით 3:2, მაგრამ მერე და მერე დათმეს ინიციატივა და ორი მომდევნო პერიოდი წააგეს შესაბამისად 1:3 და 1:2. მეოთხე პერიოდში ჩვენმა წყალბურთელებმა ყველაფერი იღონეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ეს მონაკვეთი მოიგეს კიდეც — 3:2, მაგრამ საქმეს ბოლომდე მაინც ვერ უშველეს. მოსკოვის გუნდმა ძნელი გამარჯვება მოიპოვა —9:8.

ასევე დიდი ჯაფა დაადგა მოსკოვის უნივერსიტეტს სევასტოპოლის სამხედრო მეზღვაურებთან ბრძოლაში. უნივერსიტეტის წყალბურთელებმა მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვეს — 11:10 (5:4, 2:2, 3:1, 1:3). კიევის „დინამოსა“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ გუნდების ორთაბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 8:8 (1:1, 2:3, 3:3, 2:1).

მოსკოვი. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის ცსკ ვმფ-ს ბოლო მეტოქე ამ ტურში ლვოვის „დინამო“ იყო. დინამოელებმა ძლიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ პირველ-ორ პერიოდში, რომლის შემდეგაც ანგარიში იყო 5:5. მაგრამ მეორე ნახევარში ლიდერის უპირატესობა აშკარა გახდა. მან კიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 13:8 (3:2, 2:3, 5:2, 3:1). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცსკა. ვმფ ერთადერთი გუნდია მომდინარე ჩემპიონატში, რომელსაც ასპროცენტიანი შედეგი აქვს: 8 მატჩი — 8 გამარჯვება.

სხვა ორი შეხვედრა დამთავრდა ასე: „დინამო“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 11:5 (2:2, 2:0, 3:1, 4:2), „მოსკვიჩი“ — კწფ (ბაქო) 10:6 (4:3, 2:1, 3:2, 1:0).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 თებერვლისთვის					
ცსკ ვმფ	8	8	0	0	16
უნივ. (მოსკოვი)	8	5	3	0	13
„დინ.“ (მოსკოვი)	8	4	3	1	11
„მოსკვიჩი“	8	4	2	2	10
„დინ.“ (კიევი)	8	3	2	3	8
„დინ.“ (ლვოვი)	8	3	2	3	8
„ლოკ.“ (ხარკოვი)	8	2	4	2	8
„დინ.“ (ალმა-ათა)	8	2	4	2	8
„ტორპ.“ (მოსკოვი)	8	3	1	4	7
ახკ (ხევახტ.)	8	2	2	4	6
„დინ.“ (თბილისი)	8	0	1	7	1
კწფ (ბაქო)	8	0	0	8	0

ახალი ჩემპიონატის სტარტზე

შაბათს, 24 თებერვალს თბილისში, სოხუმსა და ბათუმში გამართული მატჩებით დაიწყება საქართველოს მორიგი, 1990 წლის ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მოზრდილთა, ისე ჭაბუკთა კოლექტივები. ეს უკანასკნელი ფაქტიურად გაითამაშებენ რესპუბლიკის პირველობას 1975-1976 წლებში დაბადებულთა შორის.

ასპარეზობაში მონაწილე 13 გუნდი ტრადიციისამებრ ორ ქვეჯგუფად არის დაყოფილი. პირველ ქვეჯგუფს წარმოადგენენ შემდეგი კოლექტივები: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი), „სინათლე“ (თბილისი), „ტბეთი“ (ბათუმი), „მართვე“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ორივე — თბილისი) და ჰაეროფლოტი. მეორე ქვეჯგუფში გაერთიანდნენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმწიფო უნივერსიტეტი (ორივე — თბილისი), „აზოტი“ (რუსთავი), „შევარდენი“ (თბილისი), ქუთაისი და „დინამო“ (თბილისი).

ჩემპიონატი, ისევე როგორც შარშან, ორ ეტაპად ჩაივლის. პირველი ეტაპი დაეთმობა ჯგუფურ ტურნირებს — ქვეჯგუფებში გაერთიანებული კოლექტივები მიმოსვლით ერთმანეთს 4-4-ჯერ შეხვდებიან (ორჯერ შინ და ორჯერ მეტოქის მოედანზე). მეორე ეტაპზე ქვეჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები საწინააღმდეგო ქვეჯგუფებში მეორე ადგილებზე გასულ კოლექტივებს შეხვდებიან (ორ მოგებამდე). ამ შეხვედრებში გამარჯვებულნი რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებას გაითამაშებენ, დამარცხებულნი კი (ასევე, ორ მოგებამდე) III საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებენ. V-XII ადგილების მფლობელთა ვინაობაც ანალოგიური წესით გაირკვევა, ოღონდ უძლიერესს გამოავლენს ერთი გამარჯვება. პირველ ქვეჯგუფში VII ადგილზე გასულ კოლექტივს ავტომატურად მიეკუთვნება XIII ადგილი.

ნახევარფინალური და ფინალური მატჩები თბილისში ჩატარდება.

იხ. ვე-3 გვ.

მოულოდნელი პრობლემა

როგორც ცნობილია, ტრადიციული კარატეს საქართველოს ფედერაცია ამავე სახეობაში ევროპის ფედერაციის (ეტკფ-ს) წევრი გახდა. ცნობილია ისიც, რომ ჩვენი გუნდი მიწვეულია ტრადიციული კარატეს მსოფლიო V ჩემპიონატზე პერუში. შეჯიბრება გაიმართება 5-11 მარტს. მიწვევას აქტიურად და საქმიანად გამოეხმაურნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს სპორტსახკომი, აგრეთვე რიგი ორგანიზაციები. როგორ ვითარდება ამჟამად მოვლენები, რა რეაქცია გამოიწვია ამ ფაქტმა ცენტრში, მიემგზავრება თუ არა ჩვენი ნაკრები მსოფლიო პირველობაზე? ამ საკითხებთან დაკავშირებით „ლელოს“ კორესპონდენტს ესაუბრებიან საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ აიწურაძე და ტრადიციული კარატეს საქართველოს ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ მერაბიშვილი.

— იმ სასიხარულო ცნობის მიღებისთანავე შევუდექით მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას,—გვითხრა რ. აიწურაძემ. — დრო აღარ ითმენდა, დავუკავშირდით შესაბამის ორგანიზაციებს, შევუდექით საბუთების მომზადებას, ვალუტაზე დახმარებისთვის მივმართეთ სპონსორებს.

პირველი ამ მიმართვას გამოეხმაურა გაერთიანება „საქიმპექსი“, რომელმაც 1000 დოლარი გამოყო. ასევე 1000 დოლარი შეიტანა გუნდის ყულაბაში საქართველოს სპორტსახკომმა. გარდა ამისა, დანარჩენი ვალუტის თაობაზე დაისვა საკითხი საქართველოს მინისტრთა საბჭოს წინაშე, და, იმედია, ამ მხრივ საქართველოს კარატისტთა ნაკრებს დაბრკოლება არ ექნება.

— არ შეიძლება არ ვახსენოთ კიდევ ერთი სპონსორი, კომერციული ფირმა „ვესტა“ (პრეზიდენტი მიხეილ სურგულაძე) რომელმაც, — თქვა ზ. მერაბიშვილმა, — საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის თხოვნით 20.000 მანეთი გამოყო გუნდის საჭიროებისთვის. ამ თანხას 6.000 მანეთი დაუმატა ამავე ფირმის გაზეთმა „ნატვრისთვალმა“, რის შემდეგაც საბჭოთა ვალუტის პრობლემა მთლიანად მოიხსნა. დადებითად და ძალზე ოპერატიულად გადაწყდა გუნდის ეკიპირების საკითხიც. საქართველოს სპორტსახკომის საწარმოო კომბინატი და თბილისის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკა ამზადებენ საველურშო, სპორტულ და სავარჯიშო ტანსაცმელს. ერთი სიტყვით, რესპუბლიკაში ყველამ ერთსულოვნად მიიტანა გულთან ჩვენი პრობლემები და ყოველმხრივ გაგვემართეს ხელი. დღესდღეობით ნაკრების 10 კანდიდატი შეკრებას გადის შოტოკან-კარატეს ასოციაციის ტექნიკური დირექტორის ზურაბ ლეჟავას ხელმძღვანელობით.

მაგრამ, ნუ იფიქრებთ, რომ ყველაფერი მხოლოდ რესპუბლიკაზე იყოს დამოკიდებული და ასე მარტივად წყდებოდეს. მთავარ წინააღმდეგობას წავაწყდით იქ, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად ველოდით. საქმე ისაა, რომ პერუში გასამგზავრებელი ბილეთები ერთი თვით ადრე იყო შეკვეთილი აეროფლოტის თბილისის საერთაშორისო სააგენტოში, რომელმაც თავის მხრივ განაცხადი წარადგინა ცენტრალურ სააგენტოში, საიდანაც მიიღო კიდეც თანხმობა. ამ თანხმობის საფუძველზე სააგენტოს გადაერიცხა საჭირო თანხა.

მაგრამ აი, გუშინწინ, 20 თებერვალს, სრულიად მოულოდნელად შევიტყვეთ, რომ მოსკოვიდან მოსული შეტყობინების თანახმად, ჯავშანი ბილეთებზე მოიხსნა. გუნდი დადგა იმის რეალური საშიშროების წინაშე, რომ ვერ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში. ეს კი, თავის მხრივ, ყველაფერთან ერთად, ნიშნავს იმასაც, რომ ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო კონგრესი ვერ განიხილავს თავის რიგებში საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაციის მიღების საკითხს.

ამ ცნობის მიღებისთანავე დავუკავშირდით რესპუბლიკის სამოქალაქო საავიაციო სამმართველოს და ვთხოვეთ დახმარება აღმოეჩინა ჩვენთვის, მაგრამ პრობლემა ჯერჯერობით ისევ ღიად რჩება.

ესაუბრა გიორგი ქორქია.

P. S. როგორც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ნაცვლიშვილმა გვითხრა, სეოკ-ის აღმასკომმა ჯერ კიდევ წინა ოთხშაბათს საგანგებო სხდომაზე განიხილა პერუს მსოფლიო ჩემპიონატში ქართველ კარატისტთა მონაწილეობის საკითხი და გადაწყვიტა, რომ ყოველნაირად უზრუნველყოს გუნდის გამგზავრება ლიმაში. სეოკ-ის აღმასკომმა დასახა რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა, უშუამდგომლა საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაციის ყველა შესაბამისი ორგანიზაციის წინაშე, გამონახა სპონსორები. სეოკ-ის აღმასკომი კვლავაც თხოვნით მიმართავს ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებას, ვისაც ამ ღონისძიებაში ხელის გამოღება ეხება და შეუძლია, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ქართველ კარატისტთა გუნდს მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად. ალბათ არავის დასჭირდება იმის შეხსენება, რომ ეს არის საქართველოს სპორტსმენთა პირველი შესაძლებლობა, დამოუკიდებელი გუნდით წარსდგეს მსოფლიო ჩემპიონატზე, რაც ეროვნული სპორტის, და არა მარტო სპორტის, ღირსების საქმეა — თქვა ბოლოს პ. ნაცვლიშვილმა.

სსრ კავშირის ზამთრის VII სპარტაკიადა

ფრისტაილის პირველი მერცხლები

მოგეხსენებათ, ზამთრის სპარტაკიადას უთოვლოდ ვერ ჩაატარებ უკრაინის ციდან კი თეთრი ფიფქების ნაცვლად დედამიწაზე მცხუნვარე მზის სხივები იფრქვეოდა — ჰაერის ტემპერატურამ 12 გრადუს სითბოს მიაღწია. სადაც თხელი თეთრი საფარი იყო გაშლილი, ისიც კი გაქრა. მაგრამ ზამთარი მაინც ზამთარია და 15 თებერვლის ღამეს კარპატებში ისეთი უხვი თოვლი მოვიდა, ერთბაშად გადაწყვიტა მთავარი პრობლემა.

საქართველოს სახელით სასპარტაკიადო სტარტზე პირველნი ზამთრის სპორტის შედარებით ახალი სახეობის — ფრისტაილის წარმომადგენლები გამოვიდნენ. ჩვენი ნაკრების მწვრთნელები, სპორტის ოსტატები სამფულ ანდრიასიანი და შოთა კოზანაშვილი არ მალავდნენ, რომ თავიანთი შეგირდებისაგან ამჯერად მხოლოდ ერთს მოითხოვდნენ —არ დაცემულიყვნენ რთულ ტრასაზე. ბოლომდე ჩაეთავებინათ იგი. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდი ფრისტაილის სამი სახეობიდან მხო-

იხ. ვე.2 გვ.

ჯუმბერ ლეჟავა—

გინესის წიგნის ოფიციალური კანდიდატი

სულ ახლახან ვიუწყებოდით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კრებსითი განყოფილების გამოთვლითი ტექნიკის მართვის ავტომატიზებული სისტემის ინფორმატიკისა და საგეგმო გათვლების ქვეგანყოფილების უფროსის, 50 წლის ჯუმბერ ლეჟავას მიღწევის შესახებ. ბატონმა ჯუმბერმა ორი მძიმე ოპერაციის შემდეგ, საოცარ წარმატებას მიაღწია — ერთი საათის განმავლობაში იატაკიდან 3680-ჯერ ახრულებს აზიდვას. რამდენიმე დღის წინ გინესის მოსკოვის წარმომადგენლობამ მისი მიღწევა დააფიქსირა. ჩვენ ინფორმაციას ვაქვეყნებთ (თარგმანითურთ) და საუბარს ჯუმბერ ლეჟავასთან ქვემოთ გთავაზობთ.

● ბატონო ჯუმბერ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ბრძანდებით პირველი ქართველი, ვინც გინესის წიგნში შეტანის კანდიდატი გახდა. ბუნებრივია, ჩვენ მკითხველს ამასთან დაკავშირებით თქვენი თავგადახავლის ყველა ნვრილმანი აინტერესებს.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ მოსკოვში სამსახურებრივი მივლინებით ვიყავი ჩასული. ამავე დროს მინდოდა გამომეწვია მოსკოველი კირილ მაქსიმოვი, როგორც „სოვეტსკი სპორტი“ იუწყებოდა, იგი ერთ საათში იატაკიდან 3680 აზიდვას ასრულებს. პირველად სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მივაკითხე, მაგრამ იქ მაქსიმოვის ასავალ-დასავალი არ იცოდნენ. ადრე გაზეთში იყო ცნობა, რომ მოსკოვში გამოდიოდა გინესის წიგნის რუსული თარგმანი. გადავწყვიტე ბეჭდვითი სიტყვის საკავშირო სახელმწიფო კომიტეტში მეცნიერ-თანამშრომელმა ანდრეი ტოგაიმ. მაჩვენა გინესის წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი. აქვე უნდა ვთქვა, რომ იგი უაღრესად მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული — მხოლოდ და მხოლოდ ფერადი ილუსტრაციებით. წიგნი გულდასმით გადავათვალიერე, მაგრამ რეკორდებში არ იყო მოხსენიებული ერთსაათიანი აზიდვა იატაკიდან. ანდრეის დახმარებით დავუკავშირდით „სოვეტსკაია როსიას“, რომელმაც ეს წიგნი გამოსცა. იქ აგვიხსნეს, გინესის წარმომადგენლობა გამომცემლობა „პროგრესთან“ თანამშრომლობს და რეკორდების ფიქსირებაც იქ ხდებაო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გინესის მოსკოვის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა იგორ ზაიცევმა მესამე დღისთვის დამიბარა. დანიშნულ დროს ზაიცევთან მოვიდნენ სცენარისტი, რეჟისორი, ორი კინოოპერატორი. გინესის წარმომადგენლობის სხვა თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საეგმო კომიტეტის წარმომადგენელი ჯემალ იმერლიშვილი. კომპიუტერის საშუალებით კიდევ ერთხელ შეამოწმეს რეკორდის კატალოგი. დაადგინეს, რომ იქ არც იატაკიდან ერთსაათიანი აზიდვა, არც მაქსიმოვის რეკორდი შეტანილი არ იყო. მთხოვეს, იქვე მეჩვენებინა ჩემი შესაძლებლობები. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, სპორტული ფორმაც არ მქონია წაღებული. ჩამიყვანეს საკმაოდ დაბალჭერიან, მომცრო დარბაზში, სადაც სუნთქვა ჰირდა. მთელევა ხუთ-ექვს წუთს გაგრძელდა, აქვე მინდა გითხრათ, რომ თავიდან გამოსვლის სამი ვარიანტი მქონდა მომზადებული. თუ მაქსიმოვის რეკორდი დაფიქსირებული იქნებოდა, მაშინ მის გადაჭარბებას ვაპირებდით. მეორე ვარიანტი გახლდათ ჩემი პირადი რეკორდის (3600) გაუმჯობესება, მესამე — ჩვეულებრივი ვარჯიში ძალდაუტანებლად, ერთი სიტყვით, რაც გამოვიდოდა. თავიდან პირადი რეკორდის გაუმჯობესება გადავწყვიტე. პირველ ხუთ წუთში 360-ჯერ ავიზიდე, მაგრამ ვიგრძენი, რომ სუნთქვა გამიჭირდა. ამიტომ „მესამე ვარიანტით“ გავაგრძელე. ეს გადაწყვეტილება ტაქტიკური მოსაზრებითაც მივიღე — თუ მომავალში ვინმე შეეცდება ჩემი მიღწევის გაუმჯობესებას, მას ორიენტირად უფრო დაბალი შედეგი უნდა ჰქონდეს. ერთი საათის შემდეგ ჩემი შედეგი იყო 2811 აზიდვა. ორიოდე სიტყვა კინოოპერატორებზე. მათ ჯერ მოთელვა გადაიღეს, შემდეგ, პირველი ათი წუთი, განუწყვეტლად წინიდან და გვერდიდან მიღებდნენ, მომდევნო ათ-ათ წუთიდან 2-3 წუთს ზემოდანაც მიღებდნენ. დამამთავრებელი პერიოდი კი მთლიანად აღებეჭდეს ფირზე.

● თქვენს შედეგს გინესის წიგნში ალბათ გაიხად ვიხილავთ, რადგან წლეულს სახიგნალო ეგზემპლარი უკვე გამოსულია.

— იმისთვის, რომ ჩემი შედეგი გინესის წიგნში მოხვდეს, მან წლის ბოლომდე უნდა გაძლოს. თუ ვინმე გაუმჯობესებს ამ მაჩვენებელს, გინესის წარმომადგენლობა ვალდებულია მაცნობოს, რათა რევანშის შანსი მომცეს, თუმცა მინდა დაგარწმუნოთ, რომ ის „ვინმე“ ისევ მე ვიქნები — მარტში კვლავ მოვიხდება მივლინებით მოსკოვში ჩასვლა და მინდა 3400 აზიდვა დავაფიქსირო. ამავე დროს. იმედი მაქვს, გინესის წარმომადგენლობა ჩემთან შეჯიბრების მსურველებსაც გამონახავს. მაისში ჩემს შედეგს 4000-მდე გავზრდი. ამის შემდეგ 24-საათიან ვარჯიშებზე გადავალ. სხვათა შორის, დღე-ღამის განმავლობაში იატაკიდან აზიდვაში რეკორდი ეკუთვნის არა ინგლისელ პაულ ლინჩს (29 753), როგორც ადრე მეგონა, არამედ ამერიკელ მოქალაქეს ჯეფრი უორვიკს (32 251). ეს ცხობა გინესის წიგნში ამოვიკითხე. ასე რომ, ჩემი ადრინდელი გეგმა — შემესრულებინა 32 ათასი აზიდვა — 35 ათასით შევცვალე. გინესის წარმომადგენლობამ აღმითქვა: თუ რეკორდის მოხსნას დააპირებთ, თბილისში გეწვევითო. მკითხველისთვის ალბათ ისიც საინტერესო იქნება, რომ წიგნში შეტანილია იატაკიდან აზიდვა კედელზე ფეხების მიბჯენით — 5000. იგივე რაოდენობაა აღრიცხული ცალ ხელზე იატაკიდან აზიდვაში ხუთი საათის განმავლობაში. აქვე ისიც უნდა დავამატო, რომ გინესის წიგნში აღარ აღირიცება ისეთი რეკორდები, როგორიცაა ლურსმნის ყლაპვა, მანქანის „ჭამა“ და სხვა ამგვარი არაადამიანური მოქმედება.

● ბატონო ჯუმბერ, გაითვალისწინებს თუ არა გინესის წიგნის წარმომადგენლობა ქალთა შორის თქვენი 50 წლის ბრძნულებით ამ სახეობით სპორტსმენთა ოდენობის ზრდას სამყაროში?

— ცხადია, გინესის წიგნში დიდი ყურადღება ექცევა ასაკობრივ მონაცემებს, სხვათა შორის, როდესაც მოსკოვში ჩემი ნაოპერაციევის ნაწიბურები ნახეს, გაოცება ვერ დამალეს. ამის შესახებ წერილობით აღინიშნა, ოპერატორებმა კი ეს ნაწიბურები ფირზე აღბეჭდეს.

● როგორ გგონიათ, რამდენ წელიწადს შეძლებთ სპორტული ფორმის შენარჩუნებას?

— უკიდურესად ოპტიმისტი ვარ. სულ ცოტა ოთხ წელიწადს არ ვაპირებ პოზიციების დათმობას. შემდეგ ასაკობრივ შეჯიბრებებში გამოვალ.

● ბატონო ჯუმბერ, მალე 24-საათიან ვარჯიშს შეუდგებით. ამდენ ვარჯიშს ალბათ დიდი დრო მოაქვს. უველაფერი ეს ხელს ხომ არ გიშლით სამსახურებრივ საქმიანობაში?

— მთავარი რეჟიმი და დროის ოპტიმალური განაწილებაა, როგორც წესი. ექვსის ნახევარზე ვიღვიძებ, შვიდსაათამდე ვკითხულობ წიგნებს ჩემი სპეციალობით. შემდეგ 40 წუთს ვვარჯიშობ, ამ დროს ტელევიზორიც ჩართული მაქვს. ეს ხელს არ მიშლის, რადგან მოძრაობა ავტომატიზმამდე დავიყვანე. ოცი წუთით ადრე სამსახურში ვარ, რომ დღის გეგმა შევადგინო. საღამოს ისევ ვვარჯიშობ, გარდა ამისა, ჩემს შვილებს, შვილიშვილებსა და მეგობრებს საკმაო დროს ვუთმობ.

● თქვენი ვარჯიშის ნახვა, დარწმუნებული ვარ, ბევრს დააინტერესებს. 2-4 მარტს თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი ძალოსნობაში, ხომ არ გამოხვიდოდით ქართველი და არა მარტო ქართველი მაყურებლის წინაშე?

— დიდი სიამოვნებით, თუკი ამის ორგანიზაცია მოხერხდება. ვეცდები ჩემი პირადი რეკორდი — 35000 აზიდვა ვაჩვენო.

ჯემალ ქასრაძე.

სურათებზე: ჯ. ლეჟავა ვარჯიშის დროს.

მინაწერი: დარწმუნებული ვართ, ბატონი ჯუმბერის სპორტის სახახლეში გამოხვლა საინტერესო სპორტული მოძრობისა. მის სანახავად საგანგებოდ მოვა ხალხი. იმედი გვაქვს, საქართველოს სპორტსახკომი გაითვალისწინებს ამას და ჯუმბერ ლეჟავას შესაბამის პირობებს შეუქმნის თავისი შესაძლებლობების გამოსავლენად, ამავე დროს აუცილებელია უჩვეულო სანახაობა ოფიციალურად დააფიქსირონ კინო-ტელეოპერატორებმა. სასურველია ამ გამოსვლაზე გინესის მოსკოვის წარმომადგენლობაც მოვიწვიოთ.

ფრისტაილის პირველი მერცხლები

(დასასრული)

ლოდ ერთში — მოგულში გამოდიოდა. ამ დისციპლინაში წინასწარი შერჩევის შედეგად 21 მონაწილე დაუშვეს. მათ შორის ჩვენი 3 სპორტსმენიც იყო. 230-მეტრიან საგანგებოდ დათხრილ-დაბორკვილ დისტანციაზე შეჯიბრების მონაწილეებს 4 ნახტომი უნდა გაეკეთებინათ (ადრე მხოლოდ 2 იყო სავალდებულო). პირველი ჩვენი გუნდიდან ლაშა გავა გამოდიოდა. მან მართლაც საუკეთესოდ გაიარა მთელი ტრასა, საკმაოდ რთული ნახტომებიც შეასრულა (ასე განსაჯეთ, ბოლო ნახტომზე ქართული ცეკვის ილეთი გააკეთა და თან მხიარული შეძახილი „ასა!“ მიაყოლა). მსაჯებმა მას 22,64 ქულა მიაკუთვნეს. ეს არც თუ ურიგო შედეგი იყო. სტარტზე გამოვიდა ჩვენი გუნდისა და საერთოდ ამ შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 15 წლის კობა კოზანაშვილი. მან ფრთხილად, თანაბრად გაიარა დისტანცია და 15,74 ქულა მიიღო. ჩვენმა მესამე მონაწილემ აშოტ პაპიკიანმა თავიდანვე ძალზე მაღალი ტემპი განავითარა და ამიტომ მის ნახტომებს ჩვეული ოსტატობა აკლდა. 20,45 ქულა — ასეთი იყო მისი შეფასება.

ყველაზე კარგი შედეგი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის სამგზის ჩემპიონს, პერმელ სერგეი შჩუპლეცოვს ჰქონდა. იგი ტრასაზე ისე უშიშრად მიჰქროდა, ისეთ რთულ ნახტომებს აკეთებდა, რომ მაყურებლებმა იქვე „ფრისტაილის კამიკაძედ“ მონათლეს. ფინალში მან კიდევ უკეთ იასპარეზა, რისთვისაც 42,22 ქულა დაიმსახურა. ეს ყველაზე მაღალი შედეგი იყო. მეორე ადგილზე ლატვიელი ნორმუნდს აპლოცილში გავიდა — 40,45, მესამეზე — მისი თანაგუნდელი დანს იანსონსი — 39,09. ლ. გავა XII იყო, პაპიკიანი — XIII, კოზანაშვილი— XVIII. სულ მათ ჩვენს კოლექტივს 48 ქულა მოუტანეს და III გუნდურ ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ის და ლატვიის ნაკრებთა შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სამივე სპორტსმენი „სპორტსაზოგადოება „მართვეს“ წევრი და ზამთრის სპორტის სახეობათა უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მოსწავლეები არიან.

აი, რა ვვითხრა საკავშირო სპორტსახკომის სახელმწიფო მწვრთნელმა ფრისტაილში კონსტანტინე დანილოვმა: „გულახდილად გეტყვით, თქვენი სპორტსმენების ასეთ გამოსვლას არ ველოდით. მათ ტოლი არ დაუდეს ბევრ გამოცდილ სპორტსმენს. ისინი მართლაც რომ ქართული ფრისტაილის პირველი მერცხლები არიან. განსაკუთრებით კარგი ტექნიკით გამოირჩევა ლაშა გავა, რომელსაც, ალბათ, ქვეყნის ნაკრების კანდიდატად მივიღებთ“.

გუშინ ფრისტაილის ოსტატები, სამწუხაროდ, ჩვენი სპორტსმენების გარეშე, აკრობატიკაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სამაგიეროდ, 70-მეტრიან ტრამპლინზე ოფიციალურ ვარჯიშში ჩვენი რესპუბლიკის ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობდა — კახა წაქაძე, ელგუჯა ორჯონიკიძე, ვალერი მინასიანი და ალან თიბილოვი. შეჯიბრება ამ ტრამპლინზე დღეისთვისაა დანიშნული.

ოთარ ნოზაძე,

„ლელოს“ სპეც. კორ.

(ტელეფონით).

სკოპლე, ლვოვის ოლქი.



სპეციალური პრიზიც

მინაწერი: ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა შეიარაღებული ძალების სამბისტთა შორის, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის ნაკრებმა.

პირად პირველობაში ჩემპიონები გახდნენ: მეცნიერ მელაძე (52 კგ), არჩილ ჩოხელი (68 კგ) და შალვა ბექაური (+100 კგ). ვერცხლის მედლები მოიპოვეს: ბესიკ ბუჩაშვილმა (68 კგ), რაჩიკ ჩატიანმა (74 კგ) და არმაზ ჯალაბაძემ (100 კგ). რაჩიკ მამედოვმა (48 კგ), გოჩა მეკოკიშვილმა (57 კგ), ჯონდო მუზაშვილმა (68 კგ) და დათო მაისურაძემ (90 კგ) კი მესამე ადგილები დაიკავეს.

მეცნიერ მელაძეს გადაეცა აგრეთვე პრიზი ჭიდაობის საუკეთესო ტექნიკისათვის.

გუნდი მომამზადეს ემილ ბაბასიანმა და რობერტ ძიძიშვილმა.

• • •

სურათებზე: მარცხნიდან: მ. მელაძე, ა. ჩოხელი, შ. ბექაური.

კონკურსი — „აკაკი-150“

წელს ქართველი საზოგადოება დიდი ზეიმით აღნიშნავს სასიქადულო მამულიშვილის, პოეტი-მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავს.

ბიოგრაფიული წყაროებით ჰადრაკის ბრძნული თამაში დიდი პატივით სარგებლობდა მის ოჯახში, რამაც აკაკის შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა.

ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით ზესტაფონის რაიონული გაზეთი „ლენინელის“ რედაქცია და ადგილობრივი საჭადრაკო კლუბი აცხადებენ რესპუბლიკურ კონკურსს მინიატურული საჭადრაკო 2 და 3-სვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში. ნაწარმოებები წარმოდგენილ უნდა იქნას დევიზით — „აკაკი-150“, დიაგრამებზე ორ ცალად, 1990 წლის 1 ივნისამდე გაზეთ „ლენინელის“ რედაქციაში, მისამართით: 383900, ზესტაფონი, ლენინის ქ. № 11.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება იუბილის დღეებში რესპუბლიკურ პრესაში.

თითოეულ ჟანრში დაწესებულია სამ-სამი პრიზი, რომლებიც გამარჯვებულებს გადაეცემათ იუბილისადმი მიძღვნილ რაიონულ ღონისძიებაზე.

კონკურსის მსაჯი და ორგანიზატორია საჭადრაკო პრობლემისტი და კომპოზიტორი ჯემალ მახათაძე.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიმართვა

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა 20 თებერვალს საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციას მიმართა წერილით. სხვათა შორის, ეს მიმართვა საკდუსის ტელეტაიპით მივიღეთ გრიფით „მხოლოდ თბილისისთვის“, მაგრამ გუშინ წერილი გამოქვეყნდა „სოვეტსკი სპორტშიც“.

„პატივცემულო ამხანაგებო, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი შეშფოთებულია იმ არაოფიციალური ცნობებით, რომლებიც მივიღეთ მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით, აგრეთვე, ცალკეულ პირთაგან თქვენი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებათა თაობაზე. ამ ცნობების მიხედვით ყრილობამ გადაწყვიტა რესპუბლიკის არც ერთმა ოსტატთა გუნდმა მონაწილეობა არ მიიღოს 1990 წლის საკავშირო შეჯიბრებებში, რომლებსაც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია მართავს. ამასთან, ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ის, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ამჟამად რთული პოლიტიკური ვითარება სუფევს. აღმასკომი თქვენგან მოელის სასწრაფო ოფიციალურ ინფორმაციას ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, რათა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შესაბამის გადაწყვეტილებებს მიმართოს. შეგახსენებთ, რომ თუ ყრილობის გადაწყვეტილება დაქვემდებარებულია რეგიონის ფედერაციის წევრობის შეწყვეტას სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში, შესაბამისად ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია და მის შემადგენლობაში შემავალი კლუბები ვერ შეძლებენ ფიფა-ს აღმასკომის თანხმობის გარეშე მხარი დაუჭირონ ურთიერთკავშირს საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციასთან და მის კლუბებთან, ეს კი ნიშნავს, რომ ვერ ჩაბარებენ მასთან მატჩებს.

იგივე დებულება მოქმედებს ყველა სხვა ფედერაციის მიმართაც, რომლებიც ფიფა-ს წევრები არიან.

ძვირფასო მეგობრებო, იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენგან მივიღებთ ინფორმაციას ჩვენს შორის ტრადიციული კეთილგანწყობილი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომელსაც მრავალი ათეული წლის მანძილზე ასეთი სიკეთე მოჰქონდა საბჭოთა ფეხბურთისთვის“.

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო!

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელმა ყრილობამ ამას წინათ გარკვეული, კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღო: საქართველოს ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობას არ მიიღებენ სსრ კავშირის უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების ჩემპიონატებში, ისინი, ყველანი უკლებლივ, ითამაშებენ მარტო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში.

ყრილობის ამ გადაწყვეტილებას ფეხბურთის მოყვარულთა, და არა მარტო ფეხბურთის მოყვარულთა, გარკვეული რეაქცია მოყვა. ყრილობის მეორე დღიდანვე, 16 თებერვლიდან, რედაქციას უამრავი ხალხი მოაწყდა, გვირეკავენ, დეპეშებს გვიგზავნიან, მოაქვთ წერილები, სადაც ყველა, ვისაც კი ქართული ფეხბურთის ბედი აწუხებს, გამოხატავს თავის პოზიციას.

ამ წერილების ავტორთა შორის საკმაოდ არიან ისინი, ვისაც დამფუძნებელი ყრილობის ეს გადაწყვეტილება სწორად ან ნაჩქარევად მიაჩნია. ზოგიერთებს საერთოდ არ სურთ საკავშირო ასპარეზიდან გამოთიშვა, ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ამგვარი თვითიზოლაციით ქართული ფეხბურთი მხოლოდ დაზარალდება, ბევრი გვწერს, რომ ჯერ მზად არა ვართ დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატისთვის, არა გვაქვს საჭირო სპორტული ბაზები, ფორმა, არ გაგვაჩნია სტუმართა და მაყურებელთა მიღება-გასტუმრების პირობები, მათი აზრით, ყველა პრობლემა უნდა მოფიქრებულად, სერიოზულად ავწონ-დავწონოთ, ვიმსჯელოთ და მხოლოდ ამის შემდეგ დავადგეთ რადიკალურ გზას.

მაგრამ უმეტესობა, დიდი უმეტესობა იმის მომხრეა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობა უნდა გავწყვიტოთ ახლავე, დაუყოვნებლივ, და ამთავითვე შევუდგეთ საქართველოს 1990 წლის ეროვნული ჩემპიონატისთვის სამზადისს. შესაძლოა სეზონის გაწმავლობაში მოხდეს შეფერხებანი, მაგრამ მთავარია ის, რომ შეფერხება არ ექნება თვით ეროვნულ, დამოუკიდებელ სულისკვეთებას და მასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ პირველობასაც.

საყურადღებოა, რომ 20 თებერვალს საღამოთი რედაქციის შენობასთან ვაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, ადამიანები მოვიდნენ თავიანთი კატეგორიული მოთხოვნებით, ლოზუნგებით და ტრანსპარანტებით. ქართველთა დიდ უმრავლესობას სურვილი აქვს ჩატარდეს საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატი და ეს მოხდეს წლეულსვე, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატის თაობაზე ჩვენს გაზეთში აზრთა გაცვლა-გამოცვლა ნახევარ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს. ახლა, ეტყობა, უკვე აზრი აღარა აქვს პოლემიკის თავიდან დაწყებას და განსხვავებულ აზრთა ხელახლა გამოთქმას. რახან საქართველოს დამოუკიდებელმა ფეხბურთის ფედერაციამ ასე გადაწყვიტა, რახან ხალხის დიდ ნაწილს ასე სურს, საგაზეთო პოლემიკაც უკვე ზედმეტია.

ამიტომაც ვაცხადებთ: ხმა ღვთისა და ხმა ერისაო!

კომენტარი ამ მიმართვის გამო

საჭიროდ მიგვაჩნია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ამ ოფიციალურ მიმართვას მცირეოდენი კომენტარი გავუკეთოთ.

საბჭოთა კავშირში ამჟამად უაღრესად რთული, დაძაბული პოლიტიკური და ეროვნული ვითარება სუფევს. ლაპარაკია არა მარტო ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე, ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, შუა აზიის რესპუბლიკებში მოხდარ ამბებზე, მოლდავეთის პრობლემაზე, არამედ იმაზეც, რომ თვით მოსკოვსა და ლენინგრადშიც კი სისტემატურად ხდება პრინციპული, უმნიშვნელოვანესი ხასიათის პოლიტიკური აქციები, ხალხი აქტიური ფორმებით გამოხატავს თავის უკმაყოფილებას, დემონსტრაციებზე გამოაქვთ ლოზუნგები და მოწოდებები. ხადაც კატეგორიული პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნებია წამოყენებული.

ნუთუ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ არ იცის, რომ ლიტვამ ჯერ მხოლო პოლიტიკურმა ლიდერებმა ამას წინათ ოფიციალურად განაცხადეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან თავიანთი გახვლის შესახებ?!

და რა არის გასაკვირი ან მოულოდნელი იმაში, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა დამოუკიდებლად იარსებოს და მონაწილეობა არ მიიღოს საკავშირო ჩემპიონატში? ჩვენ ხომ ოსტატთა 13 სრულფასოვანი გუნდი გვყავს, ეროვნული ჩემპიონატისთვის ეს დიდი ძალაა.

ახალი ჩემპიონატის სტარტზე

(დასასრული)

თბილისის გუნდებიდან უარეს ადგილებზე გასული ორი კოლექტივი გადასასვლელ შეხვედრებში ითამაშებს 1991 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის პრეტენდენტებთან.

გთავაზობთ გათამაშების I-II წრის კალენდარს:

24-25 თებერვალი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი) — ჭიათურა, „სინათლე“ (თბილისი) — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი), „ტბეთი“ (ბათუმი) — „მართვე“ (თბილისი).

3-4 მარტი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — ქუთაისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი), „აზოტი“ (რუსთავი) — „შევარდენი“ (თბილისი), საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი).

10-11 მარტი. სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი — „ტბეთი“, ჭიათურა — „სინათლე“, ფიზკულტურის ინსტიტუტი — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

17-18 მარტი. ქუთაისი — „აზოტი“, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — „მართვე“, „დინამო“ — „შევარდენი“, ტექნიკური უნივერსიტეტი — სახელმწიფო უნივერსიტეტი.

24-25 მარტი. „სინათლე“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი, „ტბეთი“ — ჭიათურა, „მართვე“ — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

31 მარტი-1 აპრილი. სახელმწიფო უნივერსიტეტი — „დინამო“, „აზოტი“ — ტექნიკური უნივერსიტეტი, „შევარდენი“ — ქუთაისი, „სინათლე“ — „ტბეთი“.

7-8 აპრილი. ჭიათურა — „მართვე“, ფიზკულტურის ინსტიტუტი — „ტბეთი“, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — „სინათლე“.

14-15 აპრილი. „დინამო“ — ქუთაისი, ტექნიკური უნივერსიტეტი — „შევარდენი“, სახელმწიფო უნივერსიტეტი — „აზოტი“, „მართვე“ — „სინათლე“.

21-22 აპრილი. „ტბეთი“ — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, „მართვე“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი — ჭიათურა.

28-29 აპრილი. „აზოტი“ — „დინამო“, „შევარდენი“ — სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი — ტექნიკური უნივერსიტეტი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, ჭიათურა — ფიზკულტურის ინსტიტუტი.

შენიშვნა: 24-25 თებერვლის მატჩი „სინათლესა“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდებს შორის გაიმართება თბილისში ბავშვთა კალათბურთის სასახლეში და დაიწყება 16 საათზე.

სსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

ორი მატჩი

გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ლენინგრადი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“. გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ 90:73 (42:31).

ვილნიუსი. „სტატიბამ“ ამჯერად ტალინის „კალევს“ უმასპინძლა და დამარცხდა — 75:81 (36:40).

ითამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 თებერვლისთვის

ცსკა	33	29	4	62
„დინამო“ (მ.)	32	24	8	56
„ბუდიველნიკი“ (კ.)	34	21	13	55
ვეფ (რიგა)	34	19	15	53
„კალევი“ (ტალ.)	30	18	12	48
„ჟალგ.“ (კაუნასი)	33	15	18	48
„სპარტ.“ (ლენ.)	31	13	18	44
რტი (მინსკი)	32	12	20	44
ასკ (ალმა-ათა)	27	15	12	42
„დინ.“ (თბილისი)	31	11	20	42
„შახტ.“ (დონ.)	32	9	23	41
„სტატიბა“ (ვილნ.)	33	5	28	38

სსრ კავშირის პირველობა

კალათბურთში • I ლიგა

სადაა სიმართლე?

„კომუნისტსა“ და „ლელოში“ დაიბეჭდა ფეხბურთის სპეციალისტთა ერთი ნაწილის მემორანდუმი, სადაც 15 თებერვალს გამართული საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის დისკრედიტაციისა და მისი შედეგების გაყალბების მცდელობაა. მე მხოლოდ ორიოდე განმარტებას გავაკეთებ და დანარჩენი მკითხველმა თავად განსაჯოს, თქვენი მონა მორჩილი არჩეული იყო ხმის დამთვლელი კომისიის წევრად და ხმებს დარბაზის იმ მონაკვეთში ითვლიდა, სადაც ისხდნენ: რ. შენგელაია, თ. სულაქველიძე, ა. ჩივაძე, ვ. ჭორიძე და ი. დათუნაშვილი. როდესაც კენჭი ეყარა წინადადებას, დაუყოვნებლივ ჩატარებულიყო თუ არა ეროვნული ჩემპიონატი, ყველა ჩამოთვლილმა ერთხმად დაუჭირა მხარი ამ იდეას, ასევე მოიქცნენ, როცა კენჭი ეყრებოდა პრეზიდენტის კანდიდატურას. ხოლო, რაც შეეხება ი. დათუნაშვილს, იგი პრეზიდიუმის წევრადაც იქნა არჩეული (ხელიც კი ჩამოვართვი მილოცვის ნიშნად). პრეზიდიუმის წევრად კი არ ირჩევდნენ იმას, ვინც დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გულმოსულმა მიატოვა ყრილობა. დავით ყიფიანმა კი ყრილობას სრული მხარდაჭერა აღუთქვა, რომლის მოწმეც ასობით დელეგატი გახლდათ.

პატივისცემით

ნოდარ კობერიძე,

მწერალი.

საკუთარი კლუბის საწინააღმდეგოდ...

ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა ლუ მაკარიმ განცხადება დაწერა თავისი პოსტის დატოვების თაობაზე მას შემდეგ, რაც მხილებული იქნა ფინანსურ მაქინაციებში. საქმე ისაა, რომ ლ. მაკარი, როცა 1988 წელს „სუინდონ პარკის“ მწვრთნელად მუშაობდა, ტოტალიზატორის თამაშში მონაწილეობდა და თავისი კლუბის დამარცხება იწინასწარმეტყველა „ნიუკასლთან“ ინგლისის თასის მატჩში ანგარიშით 0:5. „სუინდონმა“ ზუსტად ამ ანგარიშით წააგო კიდეც შეხვედრა. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის გადაწყვეტილებით ლ. მაკარი 1000 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს.

ჯარიმა დიდი არაა, მაგრამ ამ სკანდალის მთავარი დამნაშავეა „სუინდონ პარკის“ პრეზიდენტი ბ. ჰილერი, რომელსაც ნახევარი წლით აეკრძალა ფეხბურთთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა, თვით კლუბი კი 7500 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს.

თავისი პოსტიდან გადადგომის გადაწყვეტილება იმანაც დააჩქარა, რომ ლ. მაკარის კლუბმა ინგლისის თასის გათამაშების ნახევარფინალში მოულოდნელი მარცხი იწვნია მეორე დივიზიონის კლუბ „ოლდჰემთან“ (0:6). „ვესტ ჰემის“ გულშემატკივრები ვარაუდობენ, რომ მწვრთნელი ლუ მაკარი კვლავ ტოტალიზატორში თამაშობს და მაქინაციებშია გაბმული.

უიღბლო სტუმრობა

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდს გასვლითი მატჩები ჰქონდა სვერდლოვსკის „ურალმაშთან“.

პირველი შეხვედრა თანაბარი ბრძოლით აღინიშნა — ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას, რაზედაც მეტყველებს ანგარიშიც 76:74 მასპინძელთა სასარგებლოდ. სხვათა შორის, მეორე ტაიმში ზედიზედ ოთხ ქართველ კალათბურთელს მოუხდა მოედნის დატოვება, რამაც, ცხადია, გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე.

მეორე შეხვედრაში არ თამაშობდნენ ნ. ლორია და ნ. სირაძე, რომლებსაც ტრავმა აწუხებთ, ავადმყოფი მ. მხეიძეც ორიოდე წუთით გამოვიდა მოედანზე. თბილისელმა კალათბურთელებმა ეს მატჩიც დათმეს, ოღონდ უფრო დიდი სხვაობით — 40:70.

მომდევნო შეხვედრებს ჩვენი კალათბურთელები კვლავ სტუმრად გამართავენ — პენზასა და გორკში.

საბჭოთა ნაკრები დამარცხდა

ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესში 20 თებერვალს შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და კოლუმბიის ნაკრებ გუნდებს შორის. კოლუმბიელები, როგორც ცნობილია, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობენ, ისევე, როგორც სსრ კავშირის ნაკრები.

ამხანაგური შეხვედრა ლოს-ანჯელესში ფრედ დამთავრდა — 0:0. გამარჯვების გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანები, აქ უფრო ზუსტნი კოლუმბიელები აღმოჩნდნენ — 4:2. საბჭოთა ფეხბურთელთაგან 11-მეტრიანები ზუსტად გამოიყენეს მხოლოდ პროტასოვმა და როდიონოვმა.

ახალგაზრდული ნაკრები ირანში

თეირანი. აქ სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებმა მეორე შეხვედრა გამართა ირანის ნაკრებ გუნდთან და ვაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა ა. მოსტოვოიმ.

პირველი შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებმა აგრეთვე ანგარიშით 1:0 მოიგეს, ამ მატჩში ბურთი გაიტანა თბილისის დინამოელმა ზ. რევიშვილმა.

ვეტერანთა ტურნირზე

ნოვოსიბირსკის სპორტულ ბაზებზე გაიმართა ვეტერანთა საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“, ოდესის „ჩერნომორეცმა“, მინსკის „დინამომ“, მოსკოვის გუნდებმა „სპარტაკმა“, „ტორპედომ“ და „დინამომ“, აგრეთვე, ნოვოსიბირსკის „სიბირიაკმა“, „ლოკომოტივმა“ და ქალაქის ნაკრებმა.

გათამაშების ფინალში გავიდნენ „დნეპრი“, „ჩერნომორეცი“ და „სპარტაკი“. „დნეპრმა“ ორივე ფინალური მატჩი მოიგო ანგარიშით 1:0 და პირველი ადგილი დაიკავა. „სპარტაკისა“ და „ჩერნომორეცის“ შეხვედრა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:2.

№ 6 ტურნირის საუკეთესო ნაკრებები

თბილისის წყალბურთელ ქალთა გუნდი „ივერია“, როგორც ცნობილია, შარშან გამართულ პირველ საკავშირო ჩემპიონატში საპატიო ვერცხლზე ავიდა. ამის შემდეგ საკავშირო ნარჩევებში სამი ივერიელი: მეკარე ვიქტორია ივანოვა, ნატაშა აზატიანი და ალიონა მარგიევა მიიწვიეს.

და აი, გორკში გაიმართა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ეს სამი თბილისელიც გამოდიოდა. სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად ასპარეზობაში იღებდა მოსკოვის, რსფსრ-ისა და იტალიის ნაკრები გუნდები.

ასპარეზობამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, რადგან ეს იყო პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრები მონაწილეობდა. ამასთან, გორკში, გასაგები მიზეზების გამო, აქამდე საერთოდ არავითარი საერთაშორისო ტურნირი არ გამართულა. ამიტომ ასპარეზობამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.

საკავშირო ნაკრების წევრებმა იოლად სძლიეს მოსკოვისა (11:4) და რსფსრ-ის (12:1) გუნდებს, ხოლო თავად იტალიელებთან მეტად დაძაბულ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ (5:6).

სასიამოვნოა, რომ კარგი თამაშით სამივე თბილისელმა გამოიჩინა თავი.

სხვათა შორის, როცა იტალიელთა გუნდის კაპიტანს ჰკითხეს, ვინ იყო ტურნირის საუკეთესო მოთამაშეო, მან უყოყმანოდ განაცხადა, № 6 სსრ კავშირის ნაკრებიდანო.

მე-6 ნომრით ალიონა მარგიევა თამაშობდა. მან იტალიელთა კარი სამჯერ დალაშქრა, მოსკოველებისა — ოთხჯერ, ხოლო რსფსრ-ის გუნდის კარში ერთი ბურთი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა.

როსტომ ჩაჩავა

68 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული წყალბურთის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ხაჭართველოსა და რსფსრ-ის დამსახურებული მწვრთნელი როსტომ მიხეილის ძე ჩაჩავა.

რ. ჩაჩავა სპორტს ბავშვობიდანვე ეზიარა: იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ცურვაში და წყალბურთში. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იმავე ინსტიტუტის ცურვის კათედრაზე უფროს მასწავლებლად დატოვეს.

ქართული წყალბურთის დაფუძნება და მისი „ოქროს ხანა“ მჭიდროდაა დაკავშირებული მის სახელთან. ფართო ერუდიციის მქონე ნოვატორმა მწვრთნელმა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანა ქართველი წყალბურთელების მოზარდთა, ოსტატთა გუნდები, იქ კი მოწინავეთა შორის დაუმკვიდრა ადგილი. იგი ხათავეში ედგა რესპუბლიკის მოზარდთა ნაკრებ გუნდებს, როცა მათ 1956-58 წლებში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. მისი ხელმძღვანელობით 1956 და 1959 წლებში ქართველ წყალბურთელთა გუნდმა მოიპოვა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. წყალბურთის დიდოსტატებად მის ხელში ჩამოყალიბდნენ ნოდარ გვახარია, ირაკლი ჩხიკვაძე, ზურაბ ჩაჩავა, ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია, ვლადიმერ კლიმენკო, ოთარ მიმინოშვილი, რეზო ოჩიგავა, ლეონიდ ოსიპოვი, ბორის პოპოვი, ალექსანდრე დრევალი და სხვები... სპეციალისტები მის მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ და ერთერთ საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევდნენ.

იგი ხათავეში ედგა თბილისის „დინამოს“, „ბურევესტნიკს“, მოსკოვის უნივერსიტეტის, „ტორპედოსა“ და სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებ გუნდებს.

რ. ჩაჩავას ახასიათებდა ზნეობრივი სიწმინდე, შეუპოვარი პრინციპულობა, იშვიათი პედაგოგიური ალღო; იყო ფართოდ ერუდირებული ინტელიგენტი. გატაცებული იყო მუსიკით, მხატვრული ლიტერატურით. რ. ჩაჩავას პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური ნაწარმოებები იბეჭდებოდა რესპუბლიკურ და ცენტრალურ გაზეთებსა და ჟურნალებში.

მას ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა. უზომოდ უყვარდა მშობლიური საქართველო. მისი ჭეშმარიტი პატრიოტი იყო სიტყვითა და საქმით, მაგრამ ბევრი რამ დარჩა განუხორციელებელი.

რ. ჩაჩავას სიკვდილი მძიმე და შეუვსებელი დანაკლისია სპორტული სამყაროსთვის.

საქართველოს სპორტსახკომი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, წყალბურთის ფედერაცია.

ლიდერობენ სამნი

ესპანეთის ქალაქ ლინარისში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები გარი კასპაროვი, ბორის გელფანდი და არტურ იუსუპოვი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მათ დაამარცხეს შესაბამისად ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ალექსანდრე ბელიავსკი და ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია). ყაიმით დასრულდა მიგელ ილესკას (ესპანეთი) — ბორის გულკოსა (აშშ) და ვასილ ივანჩუკ — ბორის სპასკის (საფრანგეთი) შეხვედრები.

ნაიჯელ შორტისა (დიდი ბრიტანეთი) და ვალერი სალოვის პარტია 6-საათიანი თამაშის შემდეგ გადაიდო, სადაც საბჭოთა დიდოსტატს ზედმეტი პაიკი აქვს. ლიდერებს 2 ქულით კვალში მიჰყვება ივანჩუკი.

პირველი მატჩები

მადრიდი. აქ ოთხი ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „რეალსა“ და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 93:80 (44:33). „რეალში“ ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ ანდერსონი (29 ქულა) და მარტინი (27), „ჟალგირისში“ — სტუმბრისი (22), ვისოცკასი (15) და ბრაზისი (11).

საპასუხო მატჩი გაიმართება კაუნასში 27 თებერვალს.

— მეორე ნახევარფინალში ბოლონიის „კნორმა“ შინ აჯობა სალონიკის (საბერძნეთი) პაოკს — 77:57 (36:32).

ინფორმაცია

მოსკოვის არმიელ ფეხბურთელთა გუნდი ჰოლანდიაში მიიწვია იქაურმა კლუბმა „ვიტესმა“.

ცსკა-მ პირველი მატჩი გამართა „ტრეფერსთან“, რომელიც ჰოლანდიის I ლიგის „ბ“ ჯგუფში გამოდის. არმიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0, ბურთი მე-20 წუთზე გაიტანა დმიტრიევმა.

მეორე შეხვედრა ცსკა-ს „ვიტესთან“ ჰქონდა, სადაც სტაჟირებას გადის არმიელთა ორი ფეხბურთელი — კრუტოვი და მასალიტინი. „ვიტესი“ ჰოლანდიის ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად I-II ადგილებს იყოფს ცნობილ „ეინდჰოვენთან“ ერთად, მან ცსკა დაამარცხა ანგარიშით 2:0.

„სპორტპროგნოზი“, მე-9 ტირაჟის პროგრამა (3-4 მარტი)
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)

		პროგნოზი		
1. „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	3.III	30	20	50
2. „დინამო“ (რიგა) — „ტორპედო“ (გორკი)	3.III	80	10	10
3. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	3.III	60	30	10
4. „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (იაროსლავლი)	3.III	10	50	40
მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში ვაჭთა შორის (ჩეხოსლოვაკია)				
5. უნგრეთი — შვეცია	3.III	60	10	30
6. სამხრეთ კორეა — ჩეხოსლოვაკია	3.III	50	10	40
7. სსრ კავშირი — გდრ	3.III	80	10	10
იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში				
8. „ლაციო“ (რომი) — „ინტერი“ (მილანი)	4.III	10	50	40
9. „სამპდორია“ (გენუა) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	4.III	10	50	40
10. „ვერონა“ (ვერონა) — „უდინეზე“ (უდინე)	4.III	20	70	10
ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში				
11. „სევილია“ (სევილია) — „რეალი“ (მადრიდი)	4.III	10	50	40
12. „მალაგა“ (მალაგა) — „ატლეტიკო“ (ბილბაო)	4.III	10	80	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
13. ცსკა — „შახტიორი“ (დონეცკი)	4.III	50	40	10

შეხვედრა ოზასთან

● გფრ-ის მაგიდის ჩოგბურთელთა ჩემპიონატში დაიშვებიან უცხოელი სპორტსმენები, რომლებიც კონტრაქტით ქვეყნის სხვადასხვა კლუბში თამაშობენ.

● თურქეთის პრესის ცნობით სტამბულს განზრახული აქვს წარმოაყენოს თავისი კანდიდატურა 2000 ან 2004 წლის საზაფხულო ოლიმპიადის მოწყობაზე.

● 1979 წლის მსოფლიოს ჩემპიონს ტანვარჯიშში (ტაიჭზე) ამერიკელ კურტ თომასს გადაწყვეტილი აქვს დაუბრუნდეს სპორტს. 33 წლის ტანმოვარჯიშე კეთილი ნების თამაშებში აპირებს გამოსვლას.

● საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად სცნო პეკინის დოპინგსაწინააღმდეგო ლაბორატორია. ეს არის მსოფლიოში მე-20 ამ ტიპის ლაბორატორია.

● სეულის ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონმა კრისტინ ოტომ (გდრ) ბრემენში ჩაატარა სემინარი ამ ქვეყნის ქალთა ნაკრების წევრთათვის.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საუკეთესო მსაჯის დიპლომი გადასცა ფრან მიშელ ვოტროს. 44 წლის არბიტრმა კონკურსში 92 ხმა მიიღო. მეორე ადგილი ამ გამოკითხვაში იტალიელმა ანიოლომ დაისაკუთრა.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე

ჰიდაობის რესპუბლიკური გაერთიანება, კლასიკური სტილის ჰიდაობის ფედერაცია იუწყებიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის **ნერსეს გრიგორის ძე აკოფოვის** გარდაცვალების და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

სასტუმრო ჟურნალისტებისთვის

ბარსელონაში საფუძველი ჩაეყარა დიდ, ფეშენებელურ სასტუმროს, რომელიც განკუთვნილი იქნება 1992 წლის ოლიმპიადაზე აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის.

სასტუმროში 1002 კომფორტული ნომერი იქნება.

უანგაროდ ემსახურა

თუ ვინმეს მიუძღვის წვლილი ქართული ეროვნული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კვლევის საქმეში, მათ შორის შთამომავლობა უთუოდ მოიხსენიებს შესანიშნავ სპეციალისტს ალექსი რობაქიძეს, რომელმაც აგრეთვე გაითქვა სახელი, როგორც შესანიშნავმა ეთნოგრაფმა. 1947 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად სათავეში ჩაუდგა საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეროვნული სპორტის შემსწავლელ სექტორს. გამოიკვლია ხალხური ფიზიკური კულტურის ერთ-ერთი უძველესი სახეობა — მონადირეობა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული სერიოზული ნაშრომი — „ქართული ხალხური სპორტის შესახებ“.

აქტიურად მონაწილეობდა ფიზიკური კულტურის ხალხური სახეობებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ხასიათის კონფერენციებსა და სხვა ფორუმებში. მისი ხელმძღვანელობით ახალგაზრდა სპეციალისტებმა დაიწყეს ქართული ხალხური მოძრავი თამაშების შესწავლა. გვახსენდება 1957 წელი. გაზეთმა „ლელომ“ სწორედ მისი ინიციატივით გამოაცხადა საინტერესო კონკურსი ლიტერატურაში მანამდე უცნობი და გამოუქვეყნებელი ქართული ხალხური მოძრავი თამაშების შეგროვებაზე. ინსტიტუტში დაგროვდა თამაშთა დიდი რაოდენობა, ჩატარდა მათი პასპორტიზაცია, რამაც სექტორის თანამშრომლებს საშუალება მისცა შეექმნათ ქართული თამაშების კრებული. 1958 წელს კი ა. რობაქიძის რედაქტორობით გამოქვეყნდა ნინო შიშნიაშვილის „ქართული ხალხური მოძრავი თამაშები“. შემდეგ ამას მოჰყვა ზ. შერაზადიშვილისა და სხვათა კრებულები. ეს შესანიშნავი მეცნიერი საკავშირო პრესის ფურცლების მეშვეობითაც აცნობდა ქვეყანას ჩვენს საუნჯეს. ერთიც გვიდა გავიხსენოთ: მან პირველმა მოჰკიდა ხელი ქართული ცხენოსნური თამაშის ჩოგანბურთის არსისა და მისი ადგილობრივი წარმოშობის კვლევას და დაადასტურა, რომ ცხენბურთი ითვლება არა აღმოსავლური „კონნოე პოლოს“ ნაირსახეობად, არამედ ფაქტიურად ადგილზე აღმოცენებულ ქართულ სახეობად. ყველა დამსახურებას ვერ ჩამოთვლი.

ეს შესანიშნავი პიროვნება 82 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან, მაგრამ მის დამსახურებას არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

ვასილ ელაშვილი.

მწვრთნელის სახელობისა

კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში, სადაც ყოველი წლის თებერვალში გაიმართება ამ სახელოვანი სპეციალისტის თასის გათამაშება. მიხეილ კეკელიძემ, რომელიც წლების მანძილზე იცავდა თბილისის „დინამოსა“ და, საერთოდ, ქართული კალათბურთის ღირსებას, შემდგომში მრავალი ღირსეული სპორტსმენი აღუზარდა ჩვენს კალათბურთს. თებერვალში მას დაბადების დღეს მიულოცავდნენ, მაგრამ...

გუშინ სკოლის დარბაზში დამთავრდა მ. კეკელიძის სახელობის თასის პირველი გათამაშება, რომელშიც „მართვეს“ პირველ და მეორე გუნდებთან ერთად მონაწილეობდნენ უკრაინისა და ესტონეთის ნორჩი წარმომადგენლები. სამწუხაროდ, თბილისში ვერ ჩამოვიდნენ ლენინგრადისა და რუსეთის კოლექტივები. (ტურნირში მონაწილეობდნენ 1975-1976 წლებში დაბადებული ჭაბუკები).

მაყურებელმა საინტერესო შეხვედრები იხილა. განსაკუთრებით საუკეთესოდ იასპარეზა „მართვეს“ პირველმა გუნდმა (მწვრთნელი გივი ჩინჩალაძე), ქართველმა კალათბურთელებმა ჯერ უკრაინელი თანატოლები დაამარცხეს — 77:57, შემდეგ—ესტონელები — 63:47. განმეორებით შეხვედრებშიც მათ კვლავ გამარჯვებები მოიპოვეს: უკრაინის გუნდთან — 86:72, ტურნირის ბოლო დღეს კი ესტონელი თანატოლები დაამარცხეს — 58:40.

კიდევ ვიმეორებთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს „მართვე-I“-ის ლამაზი და გააზრებული თამაში, ჭაბუკები არ ერიდებოდნენ რთული ილეთებისა და სათამაშო ტექნიკის დემონსტრირებას, რასაც ხშირად სპეციალისტებიც მოჰყავდა აღტაცებაში. მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდათ უკრაინისა და ესტონეთის გუნდებს.

ბია გურდული.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, „ჭერაში“ — 98-97-26, „მართვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743